

**GE-Tbilisi: ინტერესის გამოხატვა საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტსა (GURAD) და საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის აღდგენის პროექტის (GUMIP) ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების ზედამხედველობაზე**

**EIB/GURAD/GUMIP/CS/QCBS/01-2017**

**საქართველო**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტი (GURAD)**

**საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის აღდგენა (GUMIP)**

**1. კონტრაქტის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება, ტელეფონი და ფაქსი:**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, აღმასრულებელი დირექტორი - ბ-ნი გალაქტიონ ბუაძე; მის: დ. აღმაშენებლის #150, თბილისი, საქართველო. ტელ: +995 32 2437001/02/03/04; ფაქსი: +995 32 2437077, ელ. ფოსტა: [procurement@mdf.org.ge](mailto:procurement@mdf.org.ge); ვებ-გვერდი: [www.mdf.org.ge](http://www.mdf.org.ge).

**2. პროცედურა**

შეზღუდული საერთაშორისო ტენდერი

**3. სახეობა: მოწვევის შეტყობინება ინტერესის გამოხატვაზე**

კომპანიები, რომელთაც სურთ სიაში შესვლა, მოწვეულნი არიან აღნიშნულის განსახორციელებლად, მოცემულ მოწვევაში ჩამოყალიბებული დებულებების შესაბამისად. მგვ აღნიშნულ სიაში შეიყვანს ყველა განაცხადს, რომელიც დააკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ მე-7, მე-8 და მე-10 პარაგრაფში მოცემულ კრიტერიუმებს.

**4. მოწვევა ინტერესის გამოხატვაზე ითვალისწინებს ქვემოთ მოცემული ესპერტიზისა და მომსახურების განხორციელებას**

საქართველოს მთავრობამ ("სესხის ამღები") მიიღო ევროპის საინვესტიციო ბანკის ("ბანკი") სესხი საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტსა (GURAD) და საქართველოს - მუნიციპალური ინფრასტრუქტურის აღდგენის პროექტის (GUMIP) განსახორციელებლად. მოცემული საერთაშორისო მოწვევა ინტერესის გამოხატვაზე დაკავშირებულია, საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტითა (GURAD) და საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის აღდგენის პროექტით (GUMIP) გათვალისწინებული სამუშაოების საკონსულტაციო მომსახურების ზედამხედველობის კონტრაქტთან.

აღნიშნული ტექნიკური დავალება მიზნად ისახავს ბანკის მიერ საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტითა (GURAD) და საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის აღდგენის პროექტით (GUMIP) დაფინანსებული სამუშაოების ყოველდღიური ზედამხედველობის ორგანიზებას.

აღნიშნული დავალების ძირითად მიზანს წარმოადგენს ზედამხედველობა გაუწიოს რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის მიმდინარე პროექტებს, როგორც ინჟინერმა/პროექტის მენეჯერმა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDF) სახელით კონტრაქტის პირობების შესაბამისად, რომელიც გაფორმდა MDF-სა და კონტრაქტორებს შორის GURAD და GUMIP პროექტების ფარგლებში EIB-ს დაფინანსებით.

EIB -ის მიერ შეფასებული პროექტის მთლიანი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს GURAD პროექტისთვის 100 მილიონ ევროს და GUMIP პროექტისთვის 100 მილიონ ევროს. პროექტის ფინანსური სტრუქტურა ქვემოთ არის მოცემული:

დაფინანსება მლნ ევროში	მთლიანი საინვესტიციო ღირებულება მლნ ევროში	კონტრაქტების მიახლოებითი რაოდენობა
EIB სესხი საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტი (GURAD)	100	40
EIB სესხი საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის აღდგენის პროექტი (GUMIP)	100	20

აღნიშნული დავალებით გათვალისწინებულია შემდეგი კონკრეტული მიზნების მიღწევა:

- ნახაზებისა და დიზაინის გადახედვა;
- სამუშაოების ზედამხედველობა;
- კონტრაქტორების ჩივილების შეფასება და კომენტარების/რეკომენდაციების მოწოდება;
- გამოცემა და დადასტურება ცვლილებათა ბრძანების/კონტრაქტის ცვლილებების პროექტის მომზადება;
- გამოცემა და დადასტურება შუალედური გადახდის სერტიფიკატების;
- თვიური ანგარიშგების ციკლი.

კონსულტანტს უნდა ჰყავდეს ძლიერი და გამოცდილი პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც უნდა შედგებოდეს არანაკლებ შემდეგი ექსპერტებისგან: (a) ჯგუფის ლიდერი - ინჟინერი, (b) არქიტექტორი (c) გზის ინჟინერი (d) ინჟინერ-ელექტრიკოსი/ ინჟინერ-მექანიკოსი (e) ინჟინერ-კონსტრუქტორი (f) გეოტექნიკოსი (g) ჰიდროტექნიკოსი (h) წლის მომარაგების/კანალიზაციის ინჟინერი (i) FIDIC-ის სერტიფიცირებული ტრენერი.

შერჩევაში მონაწილეთათვის შეზღუდვები არ არსებობს.

კონსულტანტი უნდა იცნობდეს მშენებლობასთან დაკავშირებულ ადგილობრივ კანონმდებლობას. მეტად რეკომენდირებულია, რომ ექსპერტების მნიშვნელოვან ნაწილს გააჩნდეს საქართველოში მუშაობის წარსული გამოცდილება ან იმ ქვეყნებში, რომლებიც შედიან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (CIS), ფლობდეს საზედამხედველო მომსახურების ადგილობრივ ლიცენზიებსა და ნებართვებს და ჰქონდეს ადგილობრივ ენაზე კომუნიკაციის უნარი (ქართული).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს ზემოთ ხსენებული მომსახურების განხორციელებაზე ინტერესის გამოსახატავად. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა საკუთარი განაცხადები უნდა წარმოადგინონ ზემოთ აღნიშნული მომსახურების სფეროში კვალიფიკაციის დასაბუთების მიზნით. საჭირო პროფილები წარმოდგენილი იქნება მოთხოვნაში წინადადებების წარმოდგენაზე (RFP) ანდ ზუსტი კვალიფიკაცია და გამოცდილება შეფასდება ამ ეტაპზე (RFP). კონსულტანტმა უნდა შეძლოს და გაუმკლავდეს ცვლილებებს სამშენებლო სამუშაოების დროს.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონსულტაციო კომპანიებს ინტერესის გამოსახატავად შეასრულონ ზემოთ აღწერილი სერვისი. დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ შევსებული ფორმა, რომლითაც აჩვენებენ კომპანიის კვალიფიკაციას შეასრულონ ზემოთ აღნიშნული სერვისი. კონსულტანტს შეუძლია კომპანიის კვალიფიკაციის გაძლიერების მიზნით გაერთიანდეს სხვა კომპანიებთან ერთობლივი საწარმოს ან ქვე-კონსულტანტის სახით.

ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას სტანდარტულ ფორმებში, რომელიც მოთხოვნისამებრ იქნება ხელმისაწვდომი (იხ. პუნქტი 9).

კონსულტანტების შერჩევა მოკლე სიისთვის, მოხდება ევროპის საინვესტიციო ბანკის 2011 წლის ივნისში გამოცემული სამოქმედო სახელმძღვანელოს შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებებით გათვალისწინებული საკონსულტაციო მომსახურებისთვის განსაზღვრული შეზღუდული პროცედურების შესაბამისად.

მოკლე სია შედგება 5-დან 8 კომპანიის შემადგენლობით.

იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას მხოლოდ ერთი განაცხადი, მონაწილეობის ფორმის მიხედვით (როგორც ინდივიდუალური იურიდიული პირი ან როგორც ლოდერი ან წევრი ერთობლივი საწარმოსი, რომელიც განაცხადს წარმოადგენს). იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული ან ფიზიკური პირი ერთ განაცხადზე მეტს წარმოადგენს, გამოირიცხება ყველა ის განაცხადი, რომელშიც ამ პირმა მოანაწილეობა მიიღო.

## 5. კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურების ადგილი და ხანგრძლივობა

მოცემული კონტრაქტის განხორციელების დაწყების სავარაუდო თარიღია 2017 წლის 26 ოქტომბერი და მოცემული დავალების განხორციელების სავარაუდო ხანგრძლივობაა 48 თვე. სამუშაოების ვადის გახანგრძლივების შემთხვევაში ზედამხედველობის ვადაც გახანგრძლივდება. ძირითად საზედამხედველო სამუშაოს მოყვება დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი.

წინამდებარე დავალებისათვის ხელმისაწვდომი მაქსიმალური ბიუჯეტი შეადგენს 5,795,870 ევროს (ადგილობრივი გადასახადების ჩათვლით).

კონტრაქტით გათვალისწინებული საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა ქალაქებს საქართველოს მამუბით.

**6. განაცხადების გადაცემის, გაგზავნის და წარმოდგენის პროცედურები, 8-ე პარაგრაფში ჩამოყალიბებული ყველა სახის ინფორმაციის, ფორმალური მოთხოვნების და დოკუმენტაციის ჩათვლით**

ინტერესის გამოხატვაზე აუცილებელია მითითებული იყოს მოცემული მოწვევის შეტყობინების ნომერი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს 8-ე პარაგრაფით განსაზღვრულ ინფორმაციას და დოკუმენტაციას. კანდიდატებს ინტერესის გამოხატვა შეუძლიათ შემდეგი სახით:

1) კურიერით ან რეგისტრირებული საფოსტო მომსახურებით წარმოდგენილი წინადადებები მიღებულ უნდა იქნას არუგვიანეს **2017 წლის 8 მაისისა, (17:00 ადგილობრივი დროით)**, მისამართზე, რომელიც მითითებულია პუნქტში N1,

2) პირადად ან კანდიდატის წარმომადგენლის მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენა უნდა მოხდეს არუგვიანეს **2017 წლის 8 მაისისა, (17:00 ადგილობრივი დროით)**. ამ შემთხვევაში, ინტერესის გამოხატვის მოწოდება დაფიქსირდება დათარიღებული ქვითრით, რომელიც ხელმოწერილი იქნება ოფიციალური პირის მიერ, რომელიც დოკუმენტაციას იბარებს.

ან

3) [Procurement@mdf.org.ge](mailto:Procurement@mdf.org.ge) მეილზე გამოგზავნით არუგვიანეს **2017 წლის 8 მაისისა, (17:00 ადგილობრივი დროით)**.

კურიერით ან რეგისტრირებული საფოსტო მომსახურებით ან/და პირადად ან კანდიდატის წარმომადგენლის მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს ინტერესის გამოხატვის წერილის ერთი ორიგინალი და ერთი ასლი დალუქულ კონვერტში, სადაც მითითებული იქნება:

- კონსულტანტის სახელწოდება და მისამართი;
- ამ შეტყობინების დასახელება და ნომერი;
- მგფ-ს მისამართი;

ინტერესის გამოხატვამდე დადგენილი ვადის გასვლამდე კანდიდატს შეუძლია შეცვალოს ან გაიტანოს თავისი წინადადება. წინადადებების შეცვლა დაუშვებელია დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ.

ყველა წერილობით კომუნიკაცია შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებით და ასევე კონტრაქტი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

**7. ქვე-სიაში (სიებში) შესვლისთვის აუცილებელი კრიტერიუმები**  
**7.1. გამორიცხვის კრიტერიუმები**

მოცემულ კონტრაქტთან მიმართებაში გამოცხადებულ მოწვევაში მონაწილეობისაგან კანდიდატების დისკვალიფიკაცია მოხდება იმ შემთხვევაში, თუ:

(ა) კანდიდატები გაკოტრდებიან, კომპანია იმყოფება დახურვის პროცესში, კომპანიის საქმეებს განაგებს სასამართლო, კანდიდატები გარიგებაში არიან კრედიტორებთან, შეჩერებულია მათი ბიზნეს-საქმიანობა, ან ზემოთ აღნიშნული მსგავსი ხასიათის საქმეებში არიან ჩართულნი, ან თუ იმყოფებიან ანალოგიურ სიტუაციაში, რაც გამოწვეულია ეროვნული კანონების ან რეგულაციების ფარგლებში არსებული მსგავსი პროცედურით;

(ბ) კანდიდატები პროფესიულ საქმიანობასთან მიმართებაში სასამართლოს მიერ კანონდამრღვევებად არიან ცნობილნი, აღნიშნული განაჩენის გასაჩივრების უფლების გარეშე;

- (გ) კანდიდატები დამნაშავეები არიან სერიოზული სახის პროფესიულ კანონდარღვევაში, რასაც ადასტურებენ კონტრაქტის მიმნიჭებელი ორგანიზაციები;
- (დ) კანდიდატებს არ შეუძლებიათ სოციალური დაზღვევის, ან გადასახადების გადახდასთან მიმართებაში არსებული ვალდებულებები, საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებების ან კონტრაქტის მიმნიჭებელი ორგანიზაციის ქვეყნის დებულებების, ან იმ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად, სადაც ხდება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება;
- (ე) სასამართლო გადაწყვეტილებით, გასაჩივრების უფლების გარეშე, კანდიდატები ჩართულნი იყვნენ თაღლითობაში, კორუფციაში, კრიმინალურ ორგანიზაციებთან ურთიერთობასა და საბჭოს ფინანსური ინტერესების საზიანო სხვა არაკანონიერ საქმიანობაში.
- (ვ) კანდიდატებმა დაარღვიეს კონტრაქტი, კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით, საბჭოს ბიუჯეტით დაფინანსებული სხვა შესყიდვების პროცედურების ან გრანტის მინიჭების პროცედურების შემდეგ;

## 7.2 კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

მიმწოდებელის მინიმალური ეკონომიკური და ტექნიკური სტანდარტების შეფასებისთვის, საჭიროა შემდეგი სახის ინფორმაცია, ფორმალობები და დოკუმენტები:

- კანდიდატი ვალდებულია დეტალურად წარმოადგინოს საკუთარი ორგანიზაციის კორპორატიული დასახელება, იურიდიული სტატუსი, მისამართი, ტელეფონის და ფაქსის ნომრები, ელ. ფოსტა, საკონტაქტო პირი, დღგ-ს ნომერი. ჯგუფური სატენდერო წინადადების შემთხვევაში (ერთობლივი საწარმო, ან ქვე-კონსულტირება), აუცილებელია ზემოთ ხსენებული დოკუმენტი გათვალისწინებული იყოს კომპანიების ჯგუფის თითოეული წევრისთვის და მითითებული იყოს ძირითადი კომპანიის დასახელება. ქვე-კონტრაქტის გაფორმება ნებადართულია კონტრაქტის ღირებულების 30%-ზე (ქვე-კონსულტანტის გამოცდილება მხედველობაში არ მიიღება კონსულტანტის კორპორაციული გამოცდილების შეფასების დროს) (ფორმა 1);
- კომპანიის წევრების რაოდენობის (ან კომპანიების ჯგუფის თითოეული წევრის რაოდენობის) კლასიფიკაცია აუცილებელია გაიწეროს ცხრილში, რომელშიც მითითებული იქნება ინდივიდების რაოდენობა თითოეულ კატეგორიაში ძირითადი შესაძლებლობების მიხედვით, სათანადო მოქმედების სფეროს შესაბამისად: (a) ჯგუფის ლიდერი - ინჟინერი, (b) არქიტექტორი (c) გზის ინჟინერი (d) ინჟინერ-ელექტრიკოსი/ ინჟინერ-მექანიკოსი (e) ინჟინერ-კონსტრუქტორი (f) გეოტექნიკოსი (g) ჰიდროტექნიკოსი (h) წლის მომარაგების/კანალიზაციის ინჟინერი (i) FIDIC-ის სერტიფიცირებული ტრენერი. (ფორმა 2);
- განაცხადი საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში საერთო წლიური ბრუნვის შესახებ ბოლო 3 ფინანსური წლის მანძილზე, 2014 წლის იანვრიდან. კანდიდატებმა, რომელთა ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ზემოთ აღნიშნული თარიღის შემდეგ, ვალდებულები არიან წარმოადგინონ ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია საკუთარი ორგანიზაციის საქმიანობის დაწყების პერიოდიდან (ფორმა 3);
- პროექტების ჩამონათვალი ბოლო 5 წლის მანძილზე, რომელშიც მოიცავს: (a) მშენებლობის მენეჯმენტს ზოგადად, განსაკუთრებით საჭიროა აღინიშნოს (i) გზების, შენობებისა და წყლის სისტემების მშენებლობა (ii) მშენებლობის კონტრაქტები, რომელიც რეგულირდებოდა FIDIC წესების მიხედვით (iii) მშენებლობის კონტრაქტები რომელიც განხორციელდა საქართველოში ან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (CIS) შემავალ ქვეყნებში. (ფორმა 4);  
კანდიდატებს შეუძლიათ წარმოადგინონ ინფორმაცია დაახლოებით 15 მსგავსი განხორციელებული პროექტის შესახებ.

დაინტერესებულ კომპანიებს შეუძლიათ მოიპოვონ სტანდარტული ფორმები შემდეგ ლინკზე:  
[https://www.dropbox.com/sh/6u3dyuf0es4soa0/AAAAEoQ4Gmn4nAX\\_XxFzE030a?dl=0](https://www.dropbox.com/sh/6u3dyuf0es4soa0/AAAAEoQ4Gmn4nAX_XxFzE030a?dl=0)

## 8. დაინტერესებული კომპანიების მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტაცია

ფორმალური განაცხადი, რომლის თანახმად, კანდიდატები არ წარმოადგენენ რაიმე სახის სასამართლო დავის მხარეებს, მოცემული შეტყობინების 7.1 პარაგრაფის შესაბამისად.

## 9. დამატებითი ინფორმაცია

დაინტერესებული მხარეების საყურადღებოდ: მოცემული შეტყობინების მიზანს წარმოადგენს იმ კანდიდატების სიის კომპილაცია (პრე-კვალიფიკაცია), რომელნიც მოწვეულნი იქნებიან ტენდერის კონკრეტულ მოწვევაზე წარმოადგინონ შემოთავაზება. აღნიშნული პროცედურა არ იწვევს კონტრაქტის პირდაპირ მინიჭებას.

## 10. საკვალიფიკაციო კრიტერიუმები

### 10.1 შერჩევის კრიტერიუმები

ქვემოთმოყვანილი შერჩევის კრიტერიუმები გამოყენებული იქნება ყველა კანდიდატისათვის. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადს წარმოადგენს ერთობლივი საწარმო, წამყვანმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების საკვალიფიკაციო კრიტერიუმების არანაკლებ 50 პროცენტი. ერთობლივმა საწარმომ ერთობლივად უნდა დააკმაყოფილოს პროფესიული შესაძლებლობების კრიტერიუმები, რისთვისაც თითოეული პარტნიორის შესაბამისი შესაძლებლობები ერთმანეთს დაემატება, რათა შეფასდეს კოსნორციუმის საერთო შესაძლებლობა:

a) კანდიდატის ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობა:

- კანდიდატის საშუალო წლიური ბრუნვა უნდა აღემატებოდეს 3,500,000 ევროს ბოლო სამი ფინანსური წლისათვის (2014, 2015 და 2016).
- პოზიტიური ფინანსური შედეგი ბოლო სამი წლის განმავლობაში (2014, 2015 და 2016), რომელიც შეფასდება შემდეგნაირად: (i) კომპანიის წმინდა ღირებულება უნდა იყოს დადებითი თითოეულ წელს; (ii) ლიკვიდური მაჩვენებელი უნდა იყოს ერთზე მეტი თითოეულ წელს; (iii) თითოეული წელი უნდა იყოს მომგებიანი.

b) კანდიდატის პროფესიული შესაძლებლობა:

- მინიმუმ 30 მუდმივი თანამშრომელი ბოლო სამ წელს (2014, 2015 და 2016) რომელიც კანდიდატისათვის იმუშავებს ამ კონტრაქტთან დაკავშირებულ სფეროებში.
- კანდიდატს უნდა გააჩნდეს დამხმარე პერსონალი, გუნდის გარდა, რათა ჩაატაროს სატენდერო და საზედამხედველო სამუშაოები.
- განაცხადში კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს კომპანიის ორგანიზაცია და აღწერილობა.

c) კანდიდატის ტექნიკური შესაძლებლობა

- კანდიდატს წარმატებით უნდა ჰქონდეს დასრულებული მინიმუმ 8 მომსახურების კონტრაქტი ბოლო 5 წლის განმავლობაში (2012 – 2016 წლები).

ქვემოთმოყვანილ ქვე-კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ან ერთი პროექტი, ან ცალკეული პროექტები ერთობლივად:

- სულ მცირე ერთი სამშენებლო ან/და სარეაბილიტაციო სამუშაოების კონტრაქტის ზედამხედველობა (ტექნიკური დახმარების ჩათვლით), რომელიც შეეხება შენობების, გზის ან/და წყალმომარაგების სისტემებს რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციას. ერთი კონტრაქტის მინიმალური ღირებულება უნდა შეადგენდეს 4,000,000 (ოთხი მილიონი) ევროს (კანდიდატის მიერ განხორციელებული წილი);
- სულ მცირე ერთი შენობის რეაბილიტაციის კონტრაქტის ზედამხედველობა;
- სულ მცირე ერთი გზის რეაბილიტაციის კონტრაქტის ზედამხედველობა;
- სულ მცირე ერთი წყალგამწმენდი ნაგებობის მშენებლობის კონტრაქტის ზედამხედველობა;
- FIDIC კონტრაქტის პირობების დაცვით წარმოებული ნებისმიერი სახის მშენებლობის ზედამხედველობა.

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ დამსაქმებლის მიერ გაცემული და ხელმოწერილი წერილი იმ დასრულებულ კონტრაქტებზე, რომელიც მითითებული იქნება ფორმა N4-ში.

წერილი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- პროექტის დასახელება;
- დაინტერესებული კომპანიის მიერ განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურების აღწერილობა;
- საკონსულტაციო მომსახურების განხორციელების პერიოდი;
- დაინტერესებული კომპანიის მიერ განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურების ღირებულება.

შენიშვნა: მუნიციპალური განვითარების ფონდი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს დაინტერესებული კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და გამოიყენოს აღნიშნული ინფორმაცია შეფასების მიზნით.

## 10.2 კონტრაქტის მინიჭების კრიტერიუმები

ღირებულებასთან შესაბამისობა.

საბოლოო სია:

მიღებული განაცხადების საფუძველზე 5 ან მაქსიმუმ 8 კანდიდატი მიიღებს მოწვევას წარმოადგინოს დეტალური საკონკურსო წინადადება ამ კონტრაქტისათვის. თუკი უფლებამოსილი კანდიდატების რაოდენობა მინიმალურ 5-ზე ნაკლები იქნება, ინიციატორს შეუძლია საკონკურსო წინადადების წარმოსადგენად მოიწვიოს ის კანდიდატები, რომლებიც კრიტერიუმებს შეესაბამებიან.

თუკი უფლებამოსილ კანდიდატთა რიცხვი 8-ს აღემატება, ხელახლა უნდა იქნას გაანალიზებული ამ კანდიდატების განაცხადების ძლიერი და სუსტი მხარეები, რათა მოხდეს 8 საუკეთესო განაცხადის შერჩევა სატენდერო პროცედურებისათვის.

ხელახალი ანალიზის პროცესში მხედველობაში იქნება მიღებული მხოლოდ ერთი ფაქტორი:

- მომსახურების კონტრაქტების ბიუჯეტის კუმულატიური ღირებულება (კანდიდატის მიერ განხორციელებული წილი) (ევროში), რომელიც აკმაყოფილებს ტექნიკური შესაძლებლობის კრიტერიუმებს 10.1. c.